ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3261348

ნომერი: AR1500049

თარიღი : 01.05.2017

გაცემის თარიღი : 16.05.2017

გაცნობის თარიღი : 16.05.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩარგალი , მიმდებარედ (ნაკვეთი 03/037)/ ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩარგალი , მექანიკურ ავტოსამრეცხაოსა და ქარხანა ,,აგატს" შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა ქუხილავა პ/ნ 01005045040
- ქ. თბილისი, კედიას ქ. 3, ბინა 1

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დეკორატიული გაფორმების ობიექტები
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ტერიტორიის კეთილმოწყობის (ტროტუარის მოასფალტების, ბეტონის საფარისა და ქვაფენილის მოწყობის) და დეკორატიული განათების განთავსების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-ნაძალადევი, ჩარგლის ქუჩა, მიმდებარედ, (ნაკვ. #03/037)/ჩარგლის ქუჩა, მექანიკურ ავტოსამრეცხაოსა და ქარხანა "აგატა"-ს შორის, შპს "კოლხი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობას (ტროტუარის მოასფალტების, ბეტონის საფარისა და ქვაფენილის მოწყობის) და დეკორატიული განათების განთავსებას. პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის შენობა-ნაგებობას., რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა, სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882016226386 14.04.2016 წ., საკადასტრო კოდი #01.12.04.003.076; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, ტოპოგრაფიული გეგმა, გენგეგმა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ "ქონების მართვის სააგენტო"-ს გადაწყვეტილება № QN1494811 28.04.2017 წ. დანართებით) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-ნაძალადევი, ჩარგლის ქუჩა, მიმდებარედ, (ნაკვ. #03/037)/ჩარგლის ქუჩა, მექანიკურ ავტოსამრეცხაოსა და ქარხანა "აგატა"-ს შორის, შპს "კოლხი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის (ტროტუარის მოასფალტების, ბეტონის საფარისა და ქვაფენილის მოწყობის) და დეკორატიული განათების განთავსების შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ: არ მოხდეს არსებული ხე-ნარგავების დაზიანება.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.